ა ნ გ ა რ ი შ ი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულმა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 234693, მათ შორის ქ. თბილისში - 98087(41,8%), სამეგრელო- ზემო სვანეთში -87114(37,1%), იმერეთში - 25716(11,0%), აჭარაში - 6745(2,9%), რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთში - 837(0,4%), გურიაში - 499(0,2%), ქვემო ქართლში - 9244(3,9%), კახეთში - 1205(0,5%) და ა.შ.

აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით დევნილების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ქ. სოხუმი - 45663 (19.5%), ქ. ტყვარჩელი - 2728 (1.1%), ქ.გაგრის ზონა - 18101 (7.7%), გუდაუთის რაიონი - 4603 (2.0%), სოხუმის რაიონი - 19778 (8.4%), გულრიფშის რაიონი - 32387 (13.8%), ოჩამჩირის რაიონი - 34064(14.5%), გალის რაიონი 77369(33.0%). სრულად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ **დანართ №1-ში.**

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულებით და წლიური სამოქმედო გეგმით, რომელშიც, საჭიროებისამებრ, ყოველკვარტალურად შეგვაქვს შესაბამისი კორექტირებები. მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო თუ არასამთავრობო (ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთი) გადმოსული თანამემამულეების მიღება - განსახლების პროცესში მონაწილეობა და მათთვის გადაუდებელი პირველადი დახმარების აღმოჩენა, შემდგომ კი მათი დასაქმება და საზოგადეობასთან ადაპტაცია-ინტეგრაციაში ხელშეწყობა. ასევე, დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, დროებითი საცხოვრებელი ფართობების რეაბილიტაციაში კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა, უცხოეთიდან დაბრუნებულ აფხაზეთის მკვიდრთათვის დევნილის სტატუსის აღდგენა-მინიჭებაში ხელშეწყობა, დევნილების მოქალაქეობრივი ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვა, დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით წყაროების მოძიება, მოპოვებული რესურსების დევნილებზე განაწილება და მათთვის ადგილზე მიწოდება. აგრეთვე, აფხაზეთის მთავრობისა და მის შემადგენლობაში შემავალი დაწესებულებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ. გარდა ამისა, დეპარტამენტს აკისრია შემდეგი ფუნქციები:

- აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებთან კოორდინაციითა და ერთობლივი მუშაობით დევნილთა პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის გაანალიზება და პრობლემების გადაჭრისათვის უცილებელი წინადადებების შემუშავება;
- დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების საქმიანობის მონიტორინგი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შიდა მიგრაციის თაობაზე ინფორმაციის მოძიება და მონაცემთა სრული კომპიუტერიზაციის უზრუნველყოფა და სხვა.

დებულების შესაბამისად დეპარტამენტში დამტკიცებულია 47 საშტატო ერთეული, რომელიც დღეისათვის სრულად დაკომპლექტებულია .

ასევე, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, დეპარტამენტში დასაქმებულია 14 თანამშრომელი (მათ შორის, 3 მძღოლი, 1 დამლაგებელი), რომლებიც ასრულებენ დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გაცემულ კონკრეტულ დავალებებს.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის საქმიანობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იყო საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი. დეპარტამენტის მონაწილეობით დევნილთა მიმართ 2015 წელს გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალში აღსანიშნავია შემდეგი:

- 2015 წლის 4 იანვარს დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ორგანიზებით და ქ. თბილისის მერიის, რაიონის გამგეობების ხელშეწყობით აფხაზეთიდან დევნილი 61 ბავშვი დაესწრო საახალწლო-საცირკო წარმოდგენას;

- 2015 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ა. ბოჭორიშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ბაგა-ბაღის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებულ 28 დევნილ ოჯახს აფხაზეთის მთავრობისა და დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თაოსნობით გადაეცა საშობაო ნობათი;

- 2015 წლის მარტში, დედის დღესთან (3 მარტი) დაკავშირებით, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობამ, აქციის ფარგლებში, მოინახულა და ნობათი გადასცა რეგიონში მცხოვრებ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სამარ მოქმედებებში დაღუპულ მეომართა დედებს;

- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან (12 აპრილი) დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, სხვა სამთავრობო უწყებებთან ერთობლივად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ჩართულობით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, აფხაზეთის ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს, შშმ არასრულწლოვანებსა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა დედებს და სხვა კატეგორიის დევნილ ოჯახებს აქცია ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში სააღდგომო ნობათი გადაეცათ;

- ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავის (9 მაისი) აღსანიშნავ სადღესასწაულო ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარე წლის 7-8 მაისს მეორე მსოფლიო ომის 56 მონაწილეს გადაეცა მისალოცი ბარათი და საჩუქარი;

- 2015 წლის 23 მაისს სვიმონ კანანელის ხსენებისა და აფხაზეთობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, აფხაზეთის მთავრობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დეპარტამენტის თანამშრომლებმა;

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან (1 ივნისი) დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში აფხაზეთიდან დევნილი 50 სოციალურად დაუცველი ბავშვი დაესწრო წარმოდგენას თეატრში ,, მეორე სახლი“, ხოლო 40 დევნილი ბავშვი - მოზარდ მაყურებელთა თეატრში გამართულ სპექტაკლს. ასევე, 35 ბავშვი დაესწრო სეანსს კინოთეატრ ,,ამირანში“. აგრეთვე სასტუმრო ,,ბახტრიონში“ მცხოვრებ 150 დევნილ ბავშვს დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის სახელით გადაეცათ საჩუქრები.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ესპანეთის ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ ,,Finsol“-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად,

2015 წლის 2 ივლისს სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 18 ბავშვი (მათ შორის, 14 ბავშვი ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლე) ორი თვის ვადით, გაიგზავნა დასასვენებლად მოხალისე ოჯახების (წინასწარ შერჩეული) მიწვევით ესპანეთის სამეფოში. იქ ისინი დაეუფლენ ესპანურ ენას, გაეცვნენ ქვეყნის კულტურას, დაუმეგობრდნენ თანატოლებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაციის შეგროვება (პასპორტი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მშობლების თანხმობა, ცნობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ, ბავშვებისთვის ვიზები და სხვა). დეპარტამენტის თანამშრომლებმა და მშობლებმა გააცილეს ბავშვები ესპანეთში და დასვენების შემდეგ მოუწყვეს მათ დახვედრა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში;

- 2015 წლის 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ჩართულობით (სასაჩუქრე კალათში შემავალი სურსათის შესყიდვა და დაფასოება), აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომრების დედებს დურიგდათ სადღესასწაულო საჩუქრები ;

- 2015 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობამ ქ. ზუგდიდში მოაწყო ღონისძიება სახელწოდებით „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ასევე, მდ. ენგურის ხიდზე გაიმართა მშვიდობიანი მსვლელობა სანთლებითა და წითელი მიხაკებით. აგრეთვე, ზუგდიდის მაცხოვრის კარის ეკლესიაში ომში დაღუპულთა სულების მოსახსენებლად ჩატარდა პარაკლისი;

- 2015 წლის 27 სექტემბერს, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა, დევნილმა მოსახლეობამ, სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი ქ. ქუთაისში, ქ. წყალტუბოსა და ქ.ხონში. ასევე, ომში დაღუპულთა სულების მოსახსენებლად გადაიხადეს პარაკლისი;

- 2015 წლის 7 ოქტომბერს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ამქორის“ და აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე. აღსანიშნავია, რომ ამქორის დელეგაციისათვის საინტერესო აღმოჩნდა დეპარტამენტის მიერ შექმნილი მონაცემთა ბაზის გამოყენების შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას;

- 13 ოქტომბერს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე და თანამშრომლები, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ხელმძღვანელობასთან, ასევე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად შეხვდნენ ხობის რაიონში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს, სადაც განხილულ იქნა დევნილთა

საჭირბოროტო პრობლემები და ხაზი გაესვა ერთობლივად დაგეგმილი შეხვედრების ეფექტურობას;

- 23 ოქტომბერს დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და სამთავრობო უწყებების სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, მონაწილეობდა ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში მცხოვრები დევნილების 15 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე მოყვანილი სიმინდის მოსავლის აღებაში.

- 2015 წლის 5-6 ნოემბერს დეპარტამენტისა და სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელები და თანამშრომლები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე გასვლით შეხვდნენ აბაშის მუნიციპალიტეტსა და ქ. ფოთში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს. შეხვედრებზე წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად დაიგეგმა და მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

- გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, 2015 წლის 20 ნოემბერს, წითელი ჯვრის საზოგადოების ხელშეწყობით დეპარტამენტის მიერ მოპოვებული სასაჩუქრე ნობათი, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ვ.ყოლბაიასა და სხვა ოფიცალური პირის თანდასწრებით, გადაეცა დაბა მცხეთაში კომპაქტურად ჩასახლებულ 47 დევნილ ოჯახს;

- 2015 წლის 28-31 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ორგანიზებულ აქცია „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“-ს ფარგლებში, დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებთან ერთად, მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის წევრების მონაწილეობით ქ. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ 1000-მდე დევნილ ოჯახს გადასცა საახალწლო ნობათი. აღნიშნულ აქციაში აქტიური მონაწილეობისათვის აფხაზეთის მთავრობის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა დეპარტამენტის ოცამდე თანამშრომელი;

- 28 დეკემბერს, დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ხელშეწყობით თბილისის გალერეა ,,ქარვასლაში“, წინა საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის გაიმართა ჩვენება ,,ოცნებები ხდება“. ჩვენებაზე დევნილმა ბავშვებმა წარმოადგინეს ,,მარი გოლდის“ საკარნავალო და საბავშო კაბების კოლექცია. ჩვენების ბოლოს დევნილ ბავშვებს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები ;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ ფონდ ,,თამარიონის“ ხელშეწყობით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ერთ პირს გადაეცა ორთოპედიული ეტლი;

- ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საპარლამენტო ნაძვის ხის ზეიმის ფარგლებში, გაიმართა საბავშვო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც დაესწრო 300 დევნილი ბავშვი;

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ საახალწლო ნაძვისხის ზეიმზე მიწვეულ 500-მდე დევნილ ბავშვს გადასცა საჩუქრები.

- ქ. ოზურგეთის მერიამ ქალაქში განსახლებულ 26 დევნილ ოჯახს გადასცა 42 ლარის ღირებულების საახალწლო ნობათი, ხოლო სოფლად მცხოვრებ 19 სოციალურად დაუცველ დევნილ ოჯახს გადაეცა 110 ლარის ღირებულების საახალწლო ნობათი;

- ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწყობილ საახალწლო ზეიმს დაესწრო 100-მდე დევნილი ბავშვი, რომლებსაც გადაეცათ საახალწლო საჩუქრები;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელთან ერთობლივად, 28-29 დეკემბერს საახალწლო ნობათი გადასცა აფხაზეთის ომის ვეტერან 5 ოჯახს და ომში დაღუპულ მეომართა 4 ოჯახს, ასევე მარტოხელა მოხუცებსა და სოციალურად დაუცველ 4 ოჯახს.

- ბათუმის მერიის მიერ ხელოვნების სახლში მოწყობილ საახალწლო ზეიმზე დევნილ ბავშვებსა და გადაეცათ ტკბილეული, ხოლო აფხაზეთის ომის ვეტერანებს - 300 ლარიანი ერთჯერადი მატერიალური დახმერება.

- **აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობამ** საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურსა და აფხაზეთის ვეტერანთა საქმეების სამმართველოსთან ერთობლივად ქ. თბილისში განსახლებულ ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს გადასცა საახალწლო ნობათი;

- ქ. რუსთავში - რუსთავის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში ჩატარდა უფასო საახალწლო კონცერტი, სადაც მოწვეულნი იყვნენ ომის ვეტერანთა ოჯახის ბავშვები, მათ გადაეცათ ფასიანი საჩუქრები (რუსთავის მერია);

- ხაშურშსა და ბორჯომში, ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს გადაეცათ საახალწლო ნობათი (ადგილობრივი თვითმართველობები, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური);

- აფხაზეთის მთავრობის პროექტის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე"-ს ფარგლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომელთა ძალისხმევითა და მონდომებით (ზუგდიდის, ხობის, სენაკის, მარტვილის, აბაშის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონები, ასევე ქ. ფოთში) აფხაზეთიდან დევნილ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს და დედ-მამით ობოლ ბავშვებს გადაეცათ საახალწლო ნობათი;

- ქალაქ ზუგდიდის მერიამ მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე 9 ვეტერანს გადასცა საახალწლო საჩუქარი;

- წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქალაქ ზუგდიდის მერიის ძალისხმევით 35 სოციალურად დაუცველი დევნილი ბავშვი მიწვეულ იქნა საახალწლო ზეიმზე და დაურიგდათ საჩუქრები;

- წარმომადგენლობისა და ქალაქ ზუგდიდის მერიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტურნირი (მინი ფეხბურთში) და ზუგდიდის რაიონში განთავსებულ აფხაზეთის ხუთივე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ზუგდიდის მერიამ საჩუქრად გადასცა 40 ცალი ფეხბურთის ფორმა.

- ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე 3 ვეტერანს გადასცა საახალწლო ნობათი;

- წარმომადგენლობის შუამდგომლობით ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში საახალწლო კონცერტს უფასოდ დაესწრო აფხაზეთიდან დევნილი 150 ბავშვი;
- სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, სენაკის რაიონში მცხოვრებ 475 აფხაზეთიდან დევნილ ბავშვს გადასცა საახალწლო საჩუქარი;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 15 სოციალურად დაუცველ აფხზეთიდან დევნილ ოჯახს გადასცა საახალწლო საჩუქარი;
- წარმომადგენლობამ, თავისი ძალისხმევით, აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველი ადეიშვილების ოჯახი უზრუნველყო შეშით.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა დეპარტამენტის მიერ, საანგარიშო პერიოდში, გატარებულია შემდეგი სახის სამუშაოები:

- ქ. თბილისში რეგისტრირებული დევნილებისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მიზნით 2015 წლის 14 იანვრიდან განახლდა სააპლიკაციო განაცხადების შევსების პროცესი. სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ იქნა თბილისის ზღვაზე მშენებარე კორპუსი (სულ 598 ბინა). ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მიმდინარე წლის 15 აპრილიდან, აღნიშნული პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ბანკის იპოთეკური სესხის მქონე დევნილების მიერ სააპლიკაციო განაცხადის შევსება, რომელიც გაგრძელდა 2015 წლის 15 მაისის ჩათვლით. სულ 2015 წლის 14 იანვრიდან 15 მაისის ჩათვლით საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან და ბანკის იპოთეკური სესხის დაფარვასთან დაკავშირებით სამინისტროს კომისიას მიმართა 4354 დევნილმა ოჯახმა. 2015 წლის 21 ოქტომბერს განახლებული განაცხადის შევსების პროცესის მსვლელობაში, რომელიც იმავე თვის 30 ოქტომბერს დასრულდა, კომისიას 250-მდე 4 ოთახიანი ბინის მაძიებელმა ოჯახმა მიმართა. დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, განაცხადის შევსების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ჩართული იყო დეპარტამენტის ორმოცამდე თანამშრომელი;

- ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებით, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის რეალიზება-განხორციელების მიზნით, შექმნილია და ფუნქციონირებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძილებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. აღნიშნულ საბჭოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, საბჭოს წევრის სტატუსით, წარმოადგენს დეპარტამენტის თავმჯდომარე (კ. კუჭუხიძე), რომელიც ახდენს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ცალკეული საკითხების შესწავლას კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი წინადადებების შემუშავებასა და საბჭოში წარდგენას. ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 თებერვლის №127 და ,,იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წ.წ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 თებერვლის №128 განკარგულებით გაწერილი ღონისძიებებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული მექანიზმების (გასაჩივრებისა და ხარვეზების გამოსწორების მექანიზმი დევნილებისათვის, რომლებმაც შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი) განხორციელება-ამოქმედების ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით (10.06. 2015 წლის, №19) შექმნილ იქნა დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო ჯგუფების მიმაგრების სია ქ. თბილისის რაიონებისა და საქართველოს რეგიონების მიხედვით. სამუშაო ჯგუფებმა დავალების მიღებისთანავე, ადგილზე გასვლით, მოახდინეს პირველადი მონაცემების შეგროვება, ამ მასალების სათანადო დამუშავების საფუძველზე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ხელმძღვანელობით შეიქმნა „დევნილთათვის მართლოზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებზე (ორგანიზებულ ჩასახლებებში) ,,ერთიანი მონაცემების ელექტრონული ბაზა“.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის #16 განკარგულებით შექმნილ ,,ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების ფარგლებში აფხაზეთის ავტონომოიური რესპუბლიკის მთავრობის სათათბირო ორგანოს - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათაშორისი საბჭოს“ საქმიანობაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგენით, მონაწილეობდა თავმჯდომარის მოადგილე (ვ.ცანავა). საანგარიშო პერიოდში, ჩართულობის სტრატეგიის ფარგლებში დეპარტამენტის მიერ, შემუშავებულ იქნა და საბჭოს წარედგინა წინადადებები;

- რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის გაუქმების შემდეგ, დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მართვა, კოორდინაცია და მონიტორინგი“, რომელიც წარმოადგენს დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში მოქმედი ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები-პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების“ გადაწყვეტილებებზე შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 21 აპრილის №17 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, საჭიროებისამებრ, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს. ანალოგიური სამუშაო ჯგუფები შექმნილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებშიც;

- დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 19 თებერვლის №4 ბრძანების შესაბამისად შექმნილი მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ 17 ვაკანტურ თანამდებობაზე, კანონის მოთხოვნათა თანახმად, გამოცხადებული იყო

კონკურსი და კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამის თანამდებობებზე დანიშნულ იქნა 17 თანამშრომელი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში არსებული მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიების მიერ, რომელთა შემადგენლობაშიც არიან დეპარტამენტის თანამშრომლები, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - 4, იმერეთის, გურიის , რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 3 და აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლობაში - 2 ვაკანტურ თანამდებობაზე კანონის მოთხოვნათა თანახმად გამოცხადებული იყო კონკურსები და კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, თანამდებობებზე დანიშნულ იქნა შესაბამისად: 4, 3 და 2 თანამშრომელი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შექმნილია ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიები'', რომლის უფლებამოსილებასაც განეკუთვნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით დადგენილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის ორგანიზება. აღნიშნული დახმარების გაცემის მრავალწლიანმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ პაკეტით (მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა) განსაზღვრული დახმარებები ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა წინაშე არსებული პრობლემების გრძელვადიან გადაწყვეტას და ის მხოლოდ მოკლევადიან საჭიროებებზეა გათვლილი.

- 2014 წელს ამოქმედდა საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის 500 ლარიანი ყოველთვიური დახმარებების გაცემის პროგრამა, რომელიც 2015 წელს 1000 ლარამდე გაიზარდა. თავის მხრივ, აღნიშნულმა გამოიწვია სოცპაკეტიდან დასახელებული კატეგორიის მქონე ბენეფიციართა ამოღება. შესაბამისად, ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებულ წესში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №16 დადგენილებით, განხორციელდა ცვლილებები (საფუძველი – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ"აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი), კერძოდ:

- დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამიდან (პროგრამული კოდი 13 02, 14 02, 15 02) ამოღებულ იქნა ომში დაღუპულთა ოჯახების კატეგორია;

- კატეგორია ,,მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები'' შეიცვალა კატეგორიით ,,მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები'';

- სხვა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე – პროგრამის მოცულობის 10%-იანი მაჩვენებელი გაიზარდა 20%-მდე.

ამასთან, ელექტრონული სახაზინო პროგრამის ამოქმედების გამო, შეიცვალა ბენეფიციართათვის თანხის დარიცხვის პროცედურა, კერძოდ, წინა წლებისაგან განსხვავებით, ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ნაცვლად, ბენეფიციართათვის თანხის დარიცხვას

ახორციელებს უშუალოდ წარმომადგენლობა. შესაბამისად, ერთჯერადი დახმარების მისაღებად წარსადგენ დოკუმენტაციათა ჩამონათვალში, ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ პლასტიკური ბარათი (ასლი), შეიცვალა, ს.ს. „ლიბერთი ბანკიდან“ წარსადგენი ბენეფიციარის პირადი ანგარიშით (ანგარიშის დეტალები). 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები იხილეთ **დანართ №5 ში**.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან შემოსულ წერილებზე მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992-93 წლებში განვითარებული მოვლენების შემდგომ, იქ არსებულ სამთავრობო დაწესებულებებსა თუ სხვა უწყებებში წარმოებული/დაცული საარქივო მასალები (მათ შორის მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ არსებული ჩანაწერები) ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული გარემოება, უარყოფით გავლენას ახდენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ სამართლიანი და დროული გადაწყვეტილების მიღებაზე. სწორედ მითითებული მიზეზების გამო, სამინისტროს მომართვა თითოეული იძულებით გადაადგილებული პირის საცხოვრებელი/პირადი მონაცემის დადგენასა თუ გადამოწმებაზე, დაკავშირებულია მეტად ხანგრძლივ და სკურპულოზურ პროცესთან. უმეტეს შემთხვევებში, სამინისტროდან შემოსული წერილები მოითხოვს აუცილებელი ინფორმაციის მოძიებას სხვადასხვა უწყებებიდან, (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტო, საინფორმაციო-სამისამართო ბიურო, საჯარო სკოლები, საბავშვო ბაღები, სხვადასხვა ადრე ან/და ამჟამადაც მოქმედი ორგანიზაციები და დაწესებულებები და ა.შ) რაც ზრდის წერილებზე პასუხის გაცემის ვადებს. კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევაში მოწოდებულ წერილს თან არ ახლავს დევნილის შესახებ სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაცია (განცხადება, ანკეტა, ტელეფონი და ა.შ), ამასთან, წერილში არ არის მინიშნება, სამინისტროს მხრიდან მიჩნეულ საეჭვო გარემოებაზე (იძულებით გადაადგილებული პირის მისამართი, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრების წლები, დაბადების თარიღი, ოჯახის შემადგენლობა და ა.შ) რაც ართულებს მათ განხილვას. სწორი და დროული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია თითოეულ წერილზე, იყოს გარკვეული მინიშნება, საეჭვო გარემოებათა ჩამონათვალი, რომელთა დადგენა-გადამოწმება აუცილებელია სამინისტროსთვის კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად.

- ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ლტოლვილთა სამინისტროსათვის საინტერესო პერიოდის შესახებ ზუსტი ინფორმაციის დადგენის პროცესს, თუმცა ორი და მეტი ათეული წლის პერიოდის სამოქალაქო ჩანაწერებზე მსჯელობა, აღნიშნული ჩანაწერების არარსებობის გამო, (გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დევნილობის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (მერიები და გამგეობები), დევნილთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის მიზნით განხორციელებული საქმიანობის ამსახველი მასალები, (დევნილთა რეგისტრაციის ჟურნალები) არ არსებობს, არის განადგუ-რებული) მეტად გართულებულია.

- მიუხედავად არსებული პრობლემებისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებთან ერთობლივად, მზად არის გამოიყენოს

მის ხელთ არსებული სრული ადამიანური და ტექნიკური რესურსი და თითოეული წერილობით მომართვასთან დაკავშირებით გასცეს კონკრეტული პასუხი კანონმდებლობით დადგენილ, გონივრულ ვადაში. ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენი ინიციატივით, შედგა მუშა შეხვედრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ,,აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების მდივნებს შორის, სადაც ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეჯერდა პოზიციები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან 2015წლის 1 იანვრიდან შემოსულმა წერილებმა საგრძნობლად იკლო. შესაბამის ანალიზი იხილეთ **დანართ №6-ში.**

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების კომისიებზე სულ შემოსულია 805 განცხადება. აქედან დადებითი დასკვნა გაიცა 778-ზე, უარი ეთქვა 13, ადმინისტრაციულ წარმოებაშია 11, სასამართლო დავაშია 3. კომისიების მიერ არაქართველ პირებზე გაცემულია 66 დასკვნა, მათ შორის: მოლდოველზე-1, ბერძენზე-2, სომეხზე-2, თურქზე-2, ოსზე -1, ბოშაზე-1, რუსზე-9, აფხაზზე-48.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების შესახებ შემუშავდა წინადადებები შესაბამისი ფინანსური გაანგარიშებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, დეპარტამენტის ინიციატივით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მომართვის საფუძველზე მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2015 წლის 24 აპრილის №15 დადგენილება, რომელმაც განსაზღვრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების წესი და პროცედურები, კერძოდ კომისიის შექმნის, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების, სარემონტო-აღდგენითი სამუშაოს ჩატარების მაქსიმალური ოდენობა და სხვა პროცედურული საკითხები. წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას **(დანართი #7)**

აღსანიშნავია ის გარემოება რომ დადგენილების მიღებით შესაძლებელი გახდა დევნილთათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სახის სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარება, რაც ჯამში ხელს უწყობს მათი საყოფაცხოვრებო პირობების მცირედით გაუმჯობესებას.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებს 2015 წლის განმავლობაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების მისაღებად განცხადებით მიმართა 2202 ბენეფიციარმა და შესაბამისად, გაცემულ იქნა ფინანსური დახმარება 220400 ლარის ოდენობით;

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა სამინისტროდან შემოსულია 214 წერილი 251 ბენეფიციარის მიმართ, აქედან პასუხი გაცემულია 185 წერილზე 216 ბენეფიციარის მიმართ, მათ შორის, დადებითი პასუხი - 132 წერილზე 162 ბენეფიციარის მიმართ, უარყოფითი პასუხი-34 წერილზე 35 ბენეფიციარის მიმართ, გადამისამართდა 24 წერილი და განხილვის სტადიაშია- 29 წერილი 35 ბენეფიციარის მიმართ;

- „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2015 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №17 და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2015 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №379 დადგენილებების შესრულების მიზნით, დასრულდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევები. წარმოგიდგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი სამსახურების მიერ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ წვევამდელთა 2015 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევების შედეგების შესახებ ინფორმაციას (**დანართი 3 და 4**);

- დეპარტამენტის მოხელეთა მიერ 2015 წლის განმავლობაში ხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაცია გაეწია 400 - მდე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს;

2015 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ, საანგარიშო პერიოდში, ინიცირებულია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე განხილულია შემდეგი საკითხები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმინობის შესახებ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი სამსახურების მიერ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ წვევამდელთა 2014 წლის საშემოდგომო გაწვევის შედეგების შესახებ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში არსებული ვაკანტური თანმადებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი და შემდგომში აღნიშნულ წესში განხორციელებული ცვლილებების შესახებ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. „დევნილთათვის მართლოზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებზე (ორგანიზებულ

ჩასახლებებში) მონაცემების ონლაინ საპილოტე პროგრამის შესახებ“. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ანგარიში 2015 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ .

2015 წელს დეპარტამენტის დოკუმენტბრუნვამ შეადგინა 2654 ერთეული. დეპარტამენტში სულ შემოსულია 1548 დოკუმენტი, აქედან აფხაზეთის მთავრობიდან:

- ნორმატიული აქტები (დადგენილება,განკარგულება,ბრძანება)-727
- წერილი -311;
-წერილი სხვადასხვა უწყებიდან - 251;
-მოქალაქეთა განცხადება -27;
-შიდა მომოწერა(განცხადება,მოხსენებითი ბარათიდა ა.შ)–232;
-დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დაშვებული ბრძანებების ოდენობა -267;

დეპარტამენტიდან სულ გასულია 839 დოკუმენტი. სრული ინფორმაცია იხილეთ **დანართ №5 -ში.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთაA საქმეების დეპარტამენტის წლიურმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 874146 ლარი.

მათ შორის:

_ თანამდებობრივი სარგო - 467913 ლარი
_ პრემია - 57672 ლარი
_ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 101842 ლარი
_ მივლინება სულ - 4526 ლარი.

მათ შორის:

მივლინება ქვეყნის შიგნით - 2293 ლარი
მივლინება ქვეყნის გარეთ - 2233 ლარი
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 2126 ლარი

მათ შორის:

შენობა – ნაგებობების დაცვის ხარჯი - 1740 ლარი
სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი – 386 ლარი.
_ ოფისის ხარჯი - 30997 ლარი.
კომუნალური ხარჯი -11465 ლარი.

მათ შორის:

ელექტროენერგიის ხარჯი -4715 ლარი,
წყლის ხარჯი- 1569 ლარი,
ბუნებრივი და თხევადი აირი -3492 ლარი,
შენობა- ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი -1690-ლარი, .
კავშირგაბმულობის ხარჯმა - 8538 ლარი:

მათ შორის: ინტერნეტ მომსახურება - 3929 ლარი,
ჯეოსელის მომსახურება - 3288 ლარი,
სატელეფონო მომსახურება - 1061 ლარი,
სატელევიზიო არხის მომსახურება -260 ლარი,
საკანცელარიო ხარჯმა შეადგინა 3162 ლარი, საფოსტო ხარჯი -362 ლარი,

საოფისე ავეჯის შეძენა -330 ლარი,
ტიტულიანი ბლანკების დაბეჭდვა -604 ლარი,
გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენა - 196 ლარი,
სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯი - 192 ლარი.
კომპიუტერული ტექნიკის შეძენა -1127 -ლარი,
კატრიჯების შეძენა და დატუმბვა -1450 ლარი,
ოფისისათვის საჭირო მასალების შეძენა -615 ლარი,
სანიტარული საგნების შეძენა -500 ლარი,
მიმდინარე რემონტის ხარჯი -340 ლარი

საოფისე ტექნიკის მოვლა – შენახვის და მიმდინარე რემონტის ხარჯი - 2116 ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯი - 534 ლარი.

DD

სხვადასხვა საოფისე მომსახურებაზე გახარჯული - 3861 ლარი.
_ ტრანსპორტის შენახვისა და მოვლის ხარჯი –19670 ლარი,
მათ შორის:
საწვავი - 12169 ლარი,
ავტო მანქანების მიმდინარე რემონტი - 2324 ლარი,
ავტო-სათადარიგო ნაწილები – 5177 ლარი.
სხვა ხარჯმა – 8046 ლარი:
მათ შორის:

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ესპანეთში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯი - 5547 ლარი,

სურსათ-სანოვაგის შეძენა - 1850 ლარი.
მოსაკრებელი – 648 ლარი.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გახარჯულია 175661 ლარი,
მათ შორის:

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით გაცემულია 730 ოჯახზე თანხა 172080 ლარის ოდენობით,
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება – 3581 ლარი.

-არაფინანსური აქტივების ხარჯმა კი შეადგინა 5159 ლარი (კომპიუტერი 2 ცალი, მობილური ტელეფონი 1 ცალი, მინი სატელეფონო სადგური 1 ცალი და პროგრამის დაფინანსება).

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტთან ერთობლივად, შემუშავებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებების პროექტები, ასევე, წარმომადგენლობის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხებზე მომზადდა ხელმძღვანელის 50-მდე ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის - ბრძანებისა და წარმომადგენლობის საქმისწარმოებაში არსებულ კორესპონდენციებზე შესაბამისი პასუხის პროექტები.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა წარმომადგენლობის სარგებლობაში არსებული (კ. ხეთაგუროვის ქ.N2) საოფისე ფართის უსასყიდლო, უზურფრუქტის ფორმით გადმოცემისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიმართულებით, რომელიც ამ ეტაპისათვის არ არის დასრულებული (ქონების მართვის სააგენტოს მიერ საბოლოო პასუხი არ არის მოწოდებული).
- წარმომადგენლობაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე (სოციალური პროგრამების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი), 2015 წლის აპრილის თვეში, კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით ჩატარდა კონკურსი.
- საანგარიშო პერიოდში, უზრუნველყოფილ იქნა მესამე პირის და/ან მოპასუხის სტატუსით **44** საქმეზე სასამართლო პროცესში (როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოში) მონაწილეობა და წარმომადგენლობის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისია) ინტერესების დაცვა.
- აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ დევნილ **175**-მდე მოქალაქეს გაეწია სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (დაბადების მოწმობის აღდგენა, სტაჟის დადგენა, პირადობის მოწმობის აღება, მოქალაქეობის მიღება/აღდგენა, დევნილის სტატუსის მინიჭება/აღდგენა და სხვა, ქონების რეგისტრაცია, მიწის ლეგალიზება და სხვა). განსაზღვრულ იქნა სტაჟიორთა კვოტა და პროფილი წარმომადგენლობის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული საჭიროებისა თუ სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფილ იქნა მათი განაწილების (სტაჟირების გავლის) პროცედურები.
- გასული 2015 წლის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთობლივად, შესწავლილ იქნა რეგიონში განთავსებული **723** ობიექტი, მათ შორის **612** ქ. თბილისში, **111** აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში. შესწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, მათ პრივატიზაციაზე, პრივატიზებული ბინების რაოდენობაზე, საერთო ფართზე, შენობების საერთო ფართზე, გაზიფიცირებაზე, ელექტრომრიცხველების განმხოლოებაზე და იმ პრობლემურ საკითხებზე რომლებსაც მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში სამართლიანად აყენებს სახელისუფლებო უწყებების წინაშე. დაზუსტდა საცხოვრებელ ობიექტებში განსახლებულ დევნილთა რაოდენობა სოციალური კატეგორიების მიხედვით. შედგენილ იქნა დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტების ერთიანი ელექტრონული ბაზა ფოტო-სლაიდებით.

- 2015 წლის 17-18 თებერვალს, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომელთა ჯგუფი, იმყოფებოდა მცხეთა-თიანეთის რეგიონში, იქ განსახლებული აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით. კოლექტიური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობასთან გასაუბრებამდე, დევნილთა შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, გაიმართა შეხვედრა მცხეთა-თიანეთის გუბერნატორის მოადგილესთან, ბატონ კობა არაბულთან და ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ ავთანდილ ნემსიწვერიძესთან. შეხვედრის შემდგომ, შეთანხმებისამებრ, მცხეთის მუნიციპალიტეტის იმ თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც დაკავებულნი არიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის (მათ შორის დევნილთა) სოციალური საკითხებით, ადგილებზე იქნა შესწავლილ კოლექტიური ჩასახლების ობიექტების მდგომარეობა და მათში მცხოვრებთა სოციალური პირობები. მიუხედავად მცხეთა-თიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან დევნილი მოსახლეობის მიმართ გამოხატული ყურადღებისა და თანადგომისა, კომპაქტური ჩასახლების ობიექტების ზოგადი შესწავლისა (დათვალიერებისა) და იქ მცხოვრებ დევნილებთან უშუალო შეხვედრის შედეგად, გამოიკვეთა კონკრეტული სახის პრობლემები, (დევნილთა უმუშევრობა და მძიმე სოციალური მდგომარეობა, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების სურვილი (ფართების პრივატიზება ან ალტერნატიული შეთავაზება, საცხოვრებელი ობიექტების (ბინების) კეთილმოწყობა, საცხოვრებელი ფართების სულადობის მიხედვით გადანაწილება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადაცემა/დაკანონება), რომელთა მოგვარებაც აუცილებელად მიგვაჩნია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად. შეხვედრების შემდგომ ჩატარდა რეგიონში განსახლებულ დევნილთა უფასო სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოკვლევები, ასევე დევნილებს უსასყიდლოდ გადაეცათ პირველადი მოთხოვნის მედიკამენტები. უახლოეს დროში გადაწყდება მცხეთაში განსახლებულ დევნილთათვის წყლის გადასახადის დაფარვის ეტაპობრივი გრაფიკის შედგენა-დამტკიცება, ასევე ელექტროენერგიის გადასახადის ვადის გაგრძელება თვის ბოლო რიცხვებამდე.
- წარმომადგენლობის მხრიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საბურთალოს რაიონის გამგეობასთან და სხვა შესაბამის უწყებებთან (თბილისის წყლის კომპანია) აქტიური და კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგად, ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრზე მდებარე ტურბაზა ,,დიღომი''-ს (ე.წ. დიღმის ჭალები), სადაც განსახლებულია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, მიმდებარე ტერიტორიაზე შეკეთდა დაზიანებული მაგისტრალური წყლის მილსადენი. ასევე გადაწყდა სამგორის რაიონში კაიროს ქ.N20 ,,საქტრანსმშენის'' ადმინისტრაციულ კორპუსში შესახლებულ დევნილთა საცხოვრებელი ფართების შეკეთება-რეაბილიტაციისა და პრივატიზაციის საკითხი.
- მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, ნაძალადევის რაიონში მდებარე დევნილთა ჩასახლების ობიექტებში არსებულ პრობლემურ საკითხთა განხილვის მიზნით, შედგა სამუშაო შეხვედრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობასთან (გამგებელი, სტრუქტურული ერთეულის უფროსები). შეხვედრაზე განხილულ იქნა ნაძალადევის რაიონში დროებით მცხოვრებ, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. შეხვედრისას

ნაძალადევის რაიონის გამგებელმა, ბატონმა ზაზა გაბუნიამ აღნიშნა, რომ მისთვის და ზოგადად გამგეობისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დაქვემდებარებულ რაიონში დროებით მცხოვრებ დევნილთა პრობლემების გადაწყვეტა და მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, შესაბამისად, გამგეობის მიერ აქტუალურად განიხილება ყველა იმ საკითხის შესწავლა და გადაწყვეტა, რომელიც საჭიროა დევნილთა გრძელვადიანი ცხოვრებისათვის და რომელიც განეკუთვნება გამგეობის კომპეტენციას. შეხვედრისას გამოიკვეთა კონკრეტული ჩასახლების ობიექტები, რომლებზეც წარმომადგენლობის მხრიდან დეტალური ინფორმაცია მიეწოდა გამგეობას (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა იმ საკითხზე, რომელიც ჩვენს მიერ იქნა დაყენებული, გამგეობის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს გააჩნდა ინფორმაცია, რაც უნდა აღინიშნოს დადებითად). როგორც, შეხვედრის დასრულების შემდგომ, გამგებელმა განაცხადა, ყველა დასმულ საკითხზე გამგეობა გააქტიურებს მუშაობას და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად და მის ფარგლებში შეეცდება კონკრეტული საკითხების დარეგულირებას.

- საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობის მიერ, **63** (სამოცდასამი) დევნილ აბიტურიენტებს/სტუდენტებს კომპეტენციის ფარგლებში გაეწიათ კონსულტაცია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამებთან დაკავშირებით, ასევე, არაერთ დევნილ სტუდენტს გაეწია შუამდგომლობა სწავლის (სტუდენტის სტატუსის) აღდგენის, საფასურის გადანაწილებისა და სხვა მათთვის საჭირო პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, წარმომადგენლობის მიერ, **23** (ოცდასამი) დევნილს (დევნილთა ჯგუფს) გაეწია სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის კონსულტაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის, მისი ორგანიზებისა და ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული შეღავათიანი პროგრამებით სარგებლობასთან დაკავშირებით. წარმომადგენლობის შესაბამისი სამსახურები, აქტიურად იყვნენ ჩართული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ, აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მიერ დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენის მოწყობაში. ასევე, წარმომადგენლობის სამსახურები აქტიურად ირებდნენ მონაწილეობას ქ. თბილისის შემოგარენში, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ, დევნილთა კუთვნილი, შინაური ცხოველებისათვის აცრის ჩატარების პროგრამის წარმატებულად განხორციელებაში.
- წარმომადგენლობის შესაბამისი სამსახურები აქტიურად იყვნენ ჩართული, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევის (საჭირო მედიკამენტების უსასყიდლოდ გადაცემა) პროგრამის განხორციელებაში, როგორც ქ. თბილისში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში (ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-თიანეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები). ამ მიმართულებით წარმომადგენლობის აქტივობები გამოიხატებოდა, როგორც დევნილთა ინფორმირებულობაში (ჩასატარებელი ღონისძიების შინაარსი, ღონისძიების ფარგლები და ჩატარების დრო და ა.შ), ასევე, უშუალოდ ღონისძიების წარმატებულად ჩატარების ორგანიზებაში, დევნილი მოსახლეობის ღონისძიებაზე დასწრების უზრუნველყოფის კუთხით. ამასთან, არაერთ

დევნილ მოქალაქეს, გაეწია ზეპირი და წერილობითი სახის შუამდგომლობა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების წინაშე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ჰუმანიტარული აქცია ქ. რუსთავში, **80** დევნილ ბავშვს გადაეცა წარმომადგენლობის მიერ მოპოვებული საჩუქრები - სათამაშო ყუთები, სხვადასხვა წლოვანების კატეგორიის მიხედვით. ქ. რუსთავში სკოლა ,,მზეკაბანაში'' **20** დევნილი ბავშვი უსასყიდლოდ დაესწრო შემოქმედებითი კოლექტივების მიერ ორგანიზებულ კონცერტს;
- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ დევნილთათვის მოპოვებულ იქნა **30** პაკეტი სასაჩუქრე ნობათი.
- შობა-ახალი წლის წინასაარჩევნო დღეებში წარმომადგენლობა აქტიურად მონაწილეობდა მოძრაობაში ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე'', ორგანიზება გაუწია აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურების მიერ შეგროვილი **700** სანობათე კალათის დარიგებას სხვადასხვა სოციალურ კატეგორიებზე.
- 2015 წლის 14 მარტს წარმომადგენლობის მიერ სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრში გამართულ სპექტაკლ ,,ხოლსტომერი, ცხენის ისტორია'' აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასწრების მიზნით შეძენილი იქნა **400** (ოთხასი) ბილეთი, რომელიც გადაეცათ დევნილებს.
- საგარეჯოს რაიონის სოფელ ბაკურციხეში, კეთილმოწყობილ და მარადმწვანე ფიჭვის ნარგავებით გამწვანებულ იქნა ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ გმირთა მემორიალი, აქციაში წარმომადგენლობასთან ერთად მონაწილეობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის, ვეტერანთა საქმეების სამსახურისა და დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა დედები და ნათესავები.
- ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წარმომადგენლობის მიერ, სხვადასხვა სამსახურებთან კოორდინირებული მოქმედებების შედეგად განხორციელებულ იქნა შემდეგი სახის ჰუმანიტარული აქციები:
  - ნოდარ დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრში, სპექტაკლს ,,მე ვხედავ მზეს'' დაესწრო სასტუმრო ,,მეგობრობაში'' ჩასახლებული **32** დევნილი ბავშვი;
  - სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის ,,თეთრი ტალღის'' სპექტაკლს დაესწრო **45** დევნილი ბავშვი, თბილისის ზღვაზე განთავსებული ჩასახლებებიდან;
  - კინოთეატრში ,,ამირანი'' 3 ,,დ'' ფორმატში ნაჩვენებ ფილმს ,,სახლი'' დაესწრო აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი ოჯახის **30** ბავშვი;
  - სასტუმრო ,,ბახტრიონში'' მცხოვრებ **150**-მდე ბავშვს გადაეცა სასაჩუქრე ყუთები, რომლებშიც განთავსებული იყო სათამაშოები, საკანცელარიო და ჰიგიენური მოხმარების ნივთები. ანალოგიური ყუთები გადაეცათ ქ. რუსთავში ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში განსახლებულ **61** დევნილ ბავშვს, ასევე, ქ. რუსთავში ყოფილ მე-14 ბაგა-ბაღში განსახლებულ **16** დევნილ არასრულწლოვანს. მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქვემო ქართლის რეგიონში განსახლებულ მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებს გადაეცათ სასურსათო პროდუქტები. აღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებით ტკბილეული და სხვა სახის ნობათი გადაეცათ ომში

დაღუპულთა მშობლებს. კლინიკა ,,ენმედიცი''-ში აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს უფასოდ ჩაუტარდათ ფარისებრი ჯირკვლის სამედიცინო გამოკვლევა.

- საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის შუამდგომლობების შედეგად, კეთილმოეწყო თეთრიწყაროს რაიონში ყოფილი საავადმყოფოს, ამჟამად დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ეზო, თავად შენობაში შეყვანილ იქნა გაზი, სარდაფიდან ამოიტუმბა დაგროვილი დაბინძურებული წყალი. ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა გარდაბნის რაიონის თბილსრესის N1 და N2 ყოფილ საერთო საცხოვრებლებში. კეთილმოეწყო საბავშვო გასართობი მოედანი და საცხოვრებელ ადგილამდე მისასვლელი გზები ქ. რუსთავში ლომოურის ქუჩაზე, ყოფილი პროფტექსასწავლებელი და ყოფილი N30 საშუალო სკოლა, მე-12 მ/რ ყოფილი N35 ბაგა-ბაღი.

წარმომადგენლობაში სულ შემოსულია **1394** , ხოლო გასულია – **936** დოკუმენტი

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

- სამოქმედო რეგიონში განთავსებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების მონიტორინგი და გაუმჯობესების ხელშეწყობა

- საანგარიშო პერიოდში, სამოქმედო რეგიონში განთავსებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების მონიტორინგის, არსებული პრობლემების შესწავლის მიზნით მოეწყო გასვლითი შეხვედრები დევნილ მოსახლეობასთან, შესწავლილ იქნა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, ასევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთიდან დევნილთა კოლექტიური ცენტრების ტექნიკური მდგომარეობა. მონიტორინგი ჩაუტარდა **168** ობიექტს, მომზადდა **243** პასპორტი. განახლებულ იქნა შესაბამისი საინფორმაციო ბაზა;
- სამოქმედო რეგიონში წარმატებით ამოქმედდა აფხაზეთის მთავრობის მიერ ინიცირებული იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამა. წარმომადგენლობაში შექმნილმა შესაბამისმა კომისიამ საანაგარიშო პერიოდში განიხილა **11** კოლექტიური განცხადება.
- მიმდინარე წლის მეორე კვარტალში წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პირადი ჩართულობით, შესაძლებელი გახდა მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურეობაზე დევნილთა ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშემწყობი 2 პროექტის ამოქმედება, რომელთაგან ერთი განახორციელა ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია

„**ამქორმა**“, ხოლო მეორე ქუთაისის მრავალპროფილურმა სამედიცინო კლინიკა „**მედიქალსიტიმ**“.

- **რეგიონში განთავსებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, წარმომადგენლობა თავის საქმიანობას წარმართავს დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებითაც. კერძოდ:**

- გასვლით შეხვედრებზე მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ქვეყანაში დასაქმების კუთხით ამოქმედებულ პროგრამებზე, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებზე. მოგვიანებით დაინტერესებულ ჯგუფებს გადაეცათ ბეჭდური მასალები და გაეწიათ შესაბამისი კონსულტაციები.
- მიმდინარე წლის 8 სექტემბერს, ქ. ქუთაისში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოწვევით, წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო დევნილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმასთან (სამუშაო ვერსიის) დაკავშირებულ საკონსულტაციო შეხვედრაში, რომელიც წარიმართა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის ევროკავშირის ექსპერტების მონაწილეობით. შეხვედრაზე წარმომადგენლობის მხრიდან დასმულ იქნა 4 მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ:

1. სოციალურად დაუცველთა ბაზაში აღრიცხული დევნილების დასაქმების შემთხვევაში, მათთვის პროგრამით გათვალისწინებული დახმარებების შენარჩუნება არანაკლებ ორი წლით.

პრობლემის არსი:

დევნილები, რომლებიც ჩართული არიან ე.წ. „სიღარიბის პროგრამაში“ დასაქმების შემთხვევაში სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გამოჰყავთ პროგრამიდან, (დევნილებისათვის კი პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური სუბსიდია, სიმწირის მიუხედავად, წარმოადგენს სტაბილურ შემოსავალს და მისი დაკარგვა არ სურთ) რის გამოც, ამ კატეგორიის დასაქმებული დევნილები დამსაქმებელთან მოლაპარაკების გზით ცდილობენ არალეგალურად (ანუ ხელშეკრულების გაუფორმებლად) იმუშაონ. ხშირია შემთხვევები, როდესაც დამსაქმებელი სარგებლობს ამ მდგომარეობით და არასრულად ან სულაც არ აძლევს დასაქმებულს შესრულებული სამუშაოს საზღაურს, ეს უკანასკნლი კი ვეღარ იცავს თავის უფლებებს, რადგან შრომითი ურთიერთობების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს.
პრობლემა გაზიარებულ იქნა, უფრო მეტიც ქ-ნმა ჯუდის კიერსმა (ეუთოს ექსპერტი) აღნიშნა, რომ საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის პროექტის, ფარგლებში დაგეგმილია საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, სადაც ამ საკითხზე იქნება მსჯელობა.

2. იგპ-თა დასაქმების ერთ-ერთ წყაროდ მიგვაჩნია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით უკვე არსებული ბიზნესების გაფართოების ხელშეწყობა, იმ პირობით, რომ დასაქმდებიან დევნილები. (ანუ დავეხმაროთ ძლიერს, რათა ის დაეხმაროს სუსტს);

ფასილიტატორების მიერ ეს წინადადებაც მოწონებულ იქნა.

3. მცირე ბიზნესის ჩამოყალიბების მიზნით სერვის-ცენტრების შექმნა იგპ-თა მსხვილ ჩასახლებებში.

წინადადება მოწონებულ იქნა.

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობის მიზნით წარმოების ძირითად საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ამაღლების საკითხი.

- საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემები:

- ამ მიმართულებით შეიმჩნევა პოზიტიური ცვლილებები, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსა სასმელი წყლისა და კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები წყალტუბოს **8** სანატორიუმში, აგრეთვე ქუთაისში, ყოფილი აეროპორტის ადმინისტრაციულ შენობაზე შეკეთდა ფასადი და სახურავი. ხონის სამხედრო დასახლებაში ჰაერის გამათბობლები დაუმონტაჟდა ყველა ოჯახს (სულ **480**). გარკვეული სამუშაოები შეასრულდა წარმომადგენლობის ბიუჯეტიდანაც - მცირე სარემონტო სამუშაოების პროგრამის ფარგლებში **11** ობიექტს (ქუთაისში, წყალტუბოში და ჭიათურაში) ჩაუტარდა მცირე რემონტი.

- ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, განათლება.

- ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, სიმწვავით მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა გამოირჩევა, რაც დევნილთა და განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი დევნილი ოჯახების დაბალი შემოსავლებითა და მედიკამენტებზე მაღალი ფასებითაა გამოწვეული. იგივე მიზეზით აქტუალურია კომუნალური გადასახადების გადახდის პრობლემაც. იშვიათად აღნიშნული პრობლემების მოგვარება ხერხდება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი პროგრამებით (მაგ: ქუთაისში მედიკამენტების ვაუჩერების პროგრამა, წყალტუბოში ელექტრო ენერგიის ვაუჩერების პროგრამა), თუმცა ეს საკმარისი არაა და რეგიონის მუნიციპალიტეტების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს დევნილთათვის მდგომარეობის უმნიშვნელოდ შემსუბუქებას.
- რაც შეეხება განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს, ისინი რეგიონში ნაკლები სიმწვავით დგას. არის გარკვეული თხოვნები სწავლების უმაღლეს საფეხურზე, სწავლის ქირის გადახდის კუთხით დახმარების აღმოჩენის თაობაზე, რაც შესაძლებლობის ფარგლებში გვარდება აფხაზეთის განათლების სამინისტროს შესაბამისი პროგრამით.

ბათუმში - ე.წ. ბენზეს დასახლების მოასახლეობა ითხოვს საბავშვო ბაღის აშენებას, რადგან იქ მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების განთავსება ახლო მდებარე

ბაღებში შეუძლებელია კონტიგენტის გადატვირთვის გამო და მშობლებს შვილების ტარება უწევთ უფრო შორს მდებარე ბაღებში ან სულაც ვერ ახერხებენ მათ განთავსებას ბაღებში. გარკვეულ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას ითხოვს კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში არსებული საბავშვო ბაღი, (შიდა კოსმეტიკური რემონტი, მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვა, საკანალიზაციო და სასმელი წყლის სისტემების მოწესრიგება) წარმომადგენლობამ მიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, თუმცა საკმარისი თანხების არქონის გამო შუამდგომლობა ვერ დაკმაყოფილდა, ბაღის აღსაზღრდელთა მშობლების თხოვნა გაეგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, თუმცა პასუხი ჯერ არ არის. პრობლემის მოგვარების მიზნით, წარმომადგენლობა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ამქორთან“, საკითხის გააქტიურება ურთიერთშეთანხმებით დაგეგმილია 2016 წლისათვის.

- სხვადასხვა

- საქართველოს განათლების მინისტრის 2014 წლის, 22 აგვისტოს, #942 ბრძანებითა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ სტუდენტთა სწავლის ქირის დასაფარად გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის კონსულტაციაზე წარმომადგენლობას მომართა **9** სტუდენტმა, რომლებსაც გაეწიათ სათანადო დახმარება და შედეგად **6** მათგანი დააფინანსა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, ხოლო ერთი (ა. იზორია) საქართველოს განათლების სამინისტრომ (2000 ლარი);
- შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტთან, მეთაურთა საბჭოსთან, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურთან თანამშრომლობის შედეგად შესაბამისი სტატუსი მიენიჭა **41** (**13** მარჩენალდაკარგული, **2** ომში დაღუპული ოჯახის წევრი, **26** მონაწილე) მოქალაქეს, განხილვის პროცესშია **17** საქმე.
- ცალკე მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა იმ ყოფილ მეომართა საქმეებზე, რომელთაც ომში მონაწილეობა კომისიური წესით უდგინდებათ. ვეტერანთა უწყებაში კომისიაზე გამოძახებას უკვე ელოდება **21** მოქალაქე. ზოგიერთმა მოქალაქემ ოჯახური (სოციალური) პირობების გამო დროულად ვერ მოახერხა კომისიაზე გამოცხადება და მიმდინარეობს მუშაობა მათი ხელმეორედ გამოძახებისათვის;
- დოკუმენტაციები მოუწესრიგდათ და **1000** ლარიან კომპენსაციას ღებულობს ომში დაღუპული მეომრის **75** ოჯახი;
- ბათუმში ზაზა გველესიანს, რომელიც **3** მცირეწლოვან შვილთან ერთად (უფროსი სამი წლის და 2 ახალშობილი ტყუპი) უმძიმეს მდგომარეობაში ცხოვრობს ქირით ნახევრად სარდაფში მერიასთან შუამდგომლობით გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება, ასევე გაეწია კონსულტაცია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის მიმართვისათვის.
- ბათუმის მერის დახმარებით, ასევე დადებითად გადაწყდა სამი შვილის მშობლის, მარტოხელა დედის, ეკა დოლიძის შვილის საბავშვო ბაღში მოწყობის პრობლემა;

- აფხაზეთის ომის დროს გენოციდის მსხვერპლთა ოჯახების წევრთა **15** განცხადებიდან **7** დაკმაყოფილდა და მათზე გაიცა სათანადო ცნობა, რაც ამ ოჯახებს შესძენს დამატებით ქულას, როგორც საცხოვრებელი ფართების მაძიებელ აპლიკანტებს;
- აჟარის გამგეობის დახმარებით, რეგიონში განთავსებულ აჟარიდან დევნილ, 0-დან 6 წლამდე ასაკის, **56** ბავშვს გადაეცა სასაჩუქრე ნაკრებები (ტკბილეული და პირადი ჰიგიენის საშუალებები);
- ოზურგეთის გამგეობამ შეშის შესაძენად განცხადების საფუძველზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების ფორმით გასცა **7** ოჯახზე **1400** ლარი. თითეულზე **200** ლარის ოდენობით;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში **6**-მა დევნილმა ოჯახმა შეიტანა განცხადებები და მიიღეს ერთჯერადი მატერიალური დახმარება, თითოეულმა **200** ლარი, სულ **1200** ლარი.
- **28** პაციენტმა ისარგებლა აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამებით (მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, ქირურგიული ოპერაცია, ფიზიოთერაპიული მკურნალობა და მედიკამენტების შეძენა);
- წყალტუბოს საკრებულოს გადაწყვეტილებით, სამედიცინო დახმარების პროგრამით რთული ქირურგიული ოპერაციების დასაფინანსებლად წყალტუბოს გამგეობის გადაწყვეტილებით დახმარება გაეწია **8** დევნილს, ჯამში **11537** ლარით;
- სიღარიბის ზღვარს მიღმა 0-დან 30000 ქულამდე ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადების **150** ლარამდე თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში **164** ოჯახს უკვე გაეწია დახმარება.
- **17** მრავალშვილიანი ოჯახიდან დაფინანსებულია **12** ოჯახი ჯამში **1800** ლარით;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) **109** ოჯახი დაფინანსებულია თითოეულზე **200** ლარით;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს წყალტუბოს სამსახურის მიერ პირველ კვარტალში ბავშვთა ზრუნვისა და რეაბილიტაციის პროგრამის „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამით“ დაკმაყოფილებულია **6** დევნილი ოჯახი; (ნ. მარგიანი - პროდუქტებითა და ტანსაცმლით; ე. გელოვანი - სარეცხი მანქანა, პროდუქტი, ტანსაცმელი; მ. მახარობლიძე - პროდუქტებითა და ტანსაცმლით; მ. ვიბლიანი - სარეცხი მანქანა, პროდუქტი, ტანსაცმელი; თ. ქარდავა - სარეცხი მანქანა, პროდუქტი, ტანსაცმელი; ბენდელიანი - სარეცხი მანქანა, ტანსაცმელი;)
- წარმომადგენლობის, რეგიონული მართვის, დევნილებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა სამსახურთან არსებული დასაქმების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის უშუალო დახმარებით დარეგისტრირდა **2** სასაოფლო-სამეურნეო პროფილის კოოპერატივი- „ლაშკანდარა“ (წყალტუბოს, რაიონი სოფ მაღლაკი) და „სამურზაყანო XXI“ (წყალტუბოს რაიონი სოფ. ფარცხანაყანევი, ყოფილი კოპიტნარის სამხედრო დასახლება). ამ უკანასკნელისათვის, ასევე წარმომადგენლობის ხელშეწყობით, ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია „ამქორმა“ საკუთარი რესურსებით მოაწყო სასათბურე მეურნეობა **1500** კვ.მეტრზე. შეიძინა საგვიანო კიტრის სათესლე მასალა. სათბურში უკვე მოიყვანეს პირველი პროდუქცია, რომლის რეალიზებაც მოხდა ადგილობრივ ბაზრებზე.

- ადმინისტრაციული საქმისწარმოება
- საანგარიშო პერიოდში გაიცა 401 სხვადასხვა ცნობა, აქედან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა

ლტოლვილთა სამინისტროში წარსადგენად **335**, სრს აფხაზეთის სამსახურში წარსადგენად-**28**, სოციალური სუბსიდიების სააგენტოში- **7**; სხვადასხვა-**31**.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრებ **384** აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაციები (დაბადების მოწმობისა და პირადობის მოწმობის აღება, მოქალაქეობის მიღება/აღდგენა, დევნილის სტატუსის მინიჭება/აღდგენა, სტაჟის დადგენა, და სხვა).
- წარმომადგენლობა აწარმოებს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების დაფიქსირებას (**87** ფაქტი).
- საანგარიშო პერიოდში შესწავლილ იქნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განთავსებული დევნილთა საცხოვრებელი ობიექტები (**452** ობიექტი), დღეის მდგომარეობით, ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეყვანილია ინფორმაცია ყველა შესწავლილი ობიექტის შესახებ. შესწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, მათ პრივატიზაციაზე, გაზიფიცირებაზე, ელექტრომრიცხველების განმხოლოებაზე და იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში სამართლიანად აყენებს სახელისუფლებო უწყებების წინაშე. დაზუსტდა საცხოვრებელ ობიექტებში განსახლებულ დევნილთა რაოდენობა სოციალური კატეგორიების მიხედვით.
- წარმომადგენლობის მიერ ორგანიზებული იქნა წალენჯიხის, მარტვილის ჩხოროწყუსა და სენაკში განთავსებულ დევნილთა შეხვედრა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარესთან და მთავრობის წევრებთან.
- ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში ,,აკვაპარკი"-ს გახნასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და რეკომენდაციით, აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ **15** ბავშვს გაეწია უფასო მომსახურება.
- წარმომადგენლობის თანამშრომლები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდნენ ჩხოროწყუს რაიონში, სადაც **8** აფხაზეთიდან დევნილ ოჯახს გაეწია დახმარება აპლიკაციის შევსებაში ,,სოფლად სახლის" პროგრამასთან დაკავშირებით, **17** ოჯახს გაეწია დახმარება აპლიკაციების შევსებაში საცხოვრებელი ფართების გარემონტებასთან და დაკანონებასთან დაკავშირებით, **44** დევნილ ოჯახს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაციები, მათთვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით.

- საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობის სამოქმედო არეალში განთავსებულ აფხაზეთიდან დევნილ **114** ოჯახს გაეწია შუმადგომლობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს წინაშე, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებაზე, გარემონტებაზე და სოფლად სახლის შესყიდვასთან დაკავშირებით აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების წამოწევის მიზნით, წარმომადგენლობა ატარებს შეხვედრებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (**17** შეხვედრა), სადაც განიხილება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარება, სოციალურ-ეკონომიური და კრიმინალური მდგომარეობის შესახებ. წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში არსებული პრობლემების მოგვარების მხრივ. აფხაზეთიდან დევნილ **45** პირს გაეწია შუამდგომლობა ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტის წინაშე **500** ლარის ფარგლებში შესაძენი მედიკამენტების დაფინანსებასთან დაკავშირებით.
- 2015 წლის დეკემბრის თვეში ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმომადგენლობის შუამდგომლობის საფუძველზე, საახალწლო საჩუქრის სახით **125** აფხაზეთიდან დევნილ ოჯახს გაუწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულს 100-100 ლარის ოდენობით.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ხობისა და მარტვილის რაიონში, ასევე ზუგდიდის რაიონის სოფ. ხურჩაში, რუხში და ზედაეწერში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ აფხაზეთიდან დევნილებისათვის უფასო სამედიცინო შემოწმებები ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრომ დევნილებს (დაახლოებით **1340** პირი) უფასოდ გაუწია სხვადასხვა სახის ლაბორატორიული გამოკვლევები, კონსულტაციები და გადასცა მედიკამენტები.
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, წარმომადგენლობის მიერ, ჩატარებული იქნა დევნილებთან შეხვედრა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ კოოპერატივების შექმნით, რაზედაც მიეცათ ამომწურავი ინფორმაცია, როგორც ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული შეღავათიანი პროგრამებით სარგებლობასთან დაკავშირებით ასევე, გაეწიათ დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასთან დაკავშირებით (**4** კოოპერატივი).
- ეროვნებით აფხაზ შინკუბა მადინას და მის მცირეწლოვან შვილს გაეწიათ დახმარება, გადაეცათ საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები.
- ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალაბასთუმანში მდებარე დევნილთა კომპაქტური ჩასახლეობის ობიექტში (ყოფილი ხორცკომბინატის შენობა) მცხოვრებ დევნილებს ჰქონდათ გადაადგილების პრობლემა (სამარშრუტო ავტობუსი არ მიდიოდა მათ ჩასახლებამდე), წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ადგილობრივი სატრანსპორტო კომპანიის დახმარებით, აღნიშნულ კომპაქტურ ჩასახლებამდე უკვე მოძრაობს სამარშრუტო ტრანსპორტი.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, აფხაზეთიდან დევნილ გოგოხიების ოჯახს, ქალაქ ზუგდიდში განთავსებულმა გაეროს ოფისმა გამოუყო **350** ლარი (დედა ონკოლოგიურად ავადმყოფია და მცირეწლოვანი შვილი გულის დაავადების მქონე).

- წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და რეკომენდაციით, აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს დაღუპული მეომრების დედებს, დედის დღესთან დაკავშირებით, რეგიონის მასშტაბით, გადაეცათ სხვადასხვა სახის საჩუქრები (**55** პირი);
- წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და რეკომენდაციით, გალის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმს (გოდერძი კვეკვესქირი), ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაუფინანსა გადაუდებელი ოპერაცია, რომლის ღირებულება შეადგენდა **2100** ლარს.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და რეკომენდაციით, აფხაზეთიდან დევნილ დარიკო არდბელავას, ქალაქ ზუგდიდის მერიის მხრიდან გაეწევა ოპერაციის თანადაფინანსება **475** ლარის ოდენობით.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტის დახმარებით, ქალაქ ზუგდიდში ყოფილ რაიონულ საავადმყოფოში ჩასახლებულ დევნილებს გამოუყვეს და ადგილზე მიუტანეს 15 კუბამეტრი შეშა. ჩასახლებაში მცხოვრებ ოჯახებს ამოწურული ჰქონდათ მათზე გამოყოფილი ელექტროენერგიის ლიმიტი, ამიტომ მათი უმრავლესობა გათბობის გარეშე ცხოვრობდა. აღნიშნულ ობიექტზე ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების დახმარებით გაწმენდილი იქნა საკანალიზაციო სისტემა და წყლის ავზი.
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობამ 3 მარტს, აფხაზეთის ომში შვილდაკარგული დედები მოინახულა, მიულოცა დღესასწაული და გადასცა საჩუქრები.
- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს გადასცა სხვადასხვა სახის საჩუქრები (კერძოდ: მარჩენალდაკარგული - **30** ოჯახი, მრავალშვილიანი - **30** ოჯახი, სოციალურად დაუცველები - **123** ოჯახი, I ჯგუფის ინვალიდები - **15** ოჯახი, დედ-მამით ობოლი ბავშვები - **7** ოჯახი, აფხაზეთის ომის მონაწილე - **34** ოჯახი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე - **6** ოჯახი, მარტოხელა დედა - **4** ოჯახი და მარტოხელა მოხუცი - **3** ოჯახი. სულ **252** ოჯახი).
- ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშში, ყოფილი სანატორიუმის შენობაში მცხოვრები დევნილები დაკმაყოფილდნენ ახალი საცხოვრებელი ფართებით ქ. ზუგდიდში ახლადაშენებულ კორპუსებში. წარმომადგენლობის თანამშრომლებმა დახმარება გაუწიეს დევნილებს ავეჯისა და საოჯახო ინვენტარის გადატანაში. ასევე გაიმართა შეხვედრა აღნიშნულ ჩასახლებაში მცხოვრებ დევნილებთან, მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა, რომ დევნილები ითხოვდნენ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფას. აღნიშნული საკითხი წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ადგილობრივი მერიის დახმარებით დადებითად გადაწყდა.
- ქალაქ ზუგდიდში, ჭავჭავაძის ქუჩა №6 მდებარე ყოფილი სტამბის შენობაში გაუმართავი იყო საკანალიზაციო სისტემა, წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქ. ზუგდიდის მერიის დახმარებით გამოცვლილი იქნა საკანალიზაციო სისტემის მილები. წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქ. ზუგდიდის მერიის დახმარებით, ქალაქ ზუგდიდში, ყოფილი ავიაციის ქარხნის ერთ-ერთ კორპუსში, სადაც ცხოვრობს **12** დევნილი ოჯახი, გამოიცვალა საკანალიზაციო მილები, ასევე მოხდა რამოდენიმე

ობიექტის სახურავის შეკეთება, რომელიც დაზიანებული იყო ძლიერი ქარის მიერ.

- წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და სენაკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით, ქ. სენაკში ყოფილი 139-ე პროფსასწავლებლის მეორე კორპუსის სარდაფიდან ამოტუმბული იქნა წყალი და შეკეთებული იქნა საკანალიზაციო სისტემა. წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ადგილობრივი მერიის დახმარებით, ქალაქ ზუგდიდში, ხორავას ქუჩა №2-ში მდებარე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა იქნა შეკეთებული.
- აფხაზეთიდან დევნილ რევაზ გუდაბანძის და ლეილა კაკუბავას ოჯახებს წარმომადგენლობამ გადასცა საოჯახო ნივთები და ტანსაცმელი.
- წარმომადგენლობამ უზრუნველყო აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების სპექტაკლზე დასწრება ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში. წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ხობის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ **20** ოჯახს გაუწია ერთჯერადი ფულადი დახმარება.
- წარმომადგენლობის თანამშრომლების ძალისხმევითა და მონდომებით, აფხაზეთიდან დევნილ **70**-მდე ოჯახს გადაეცა მეორადი ტანსაცმელი, ასევ **20**-მდე ოჯახს გადეცა კვების პროდუქტები.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, წალენჯიხის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აფხაზეთიდან დევნილ **15** ოჯახს გადასცა საახალწლო საჩუქრები. აფხაზეთის მთავრობის პროექტის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე"-ს ფარგლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომელთა ძალისხმევითა და მონდომებით, აფხაზეთიდან დევნილ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს და დედ-მამით ობოლ ბავშვებს გადაეცათ **98** ,,სასაჩუქრე პაკეტი" საახალწლო ნობათი.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქალაქ ზუგდიდის მერიის ძალისხმევით, **35** სოციალურად დაუცველი დევნილი ბავშვი იქნა მიწვეული საახალწლო ზეიმზე და დაურიგდათ საჩუქრები.
- წარმომადგენლობისა და ქალაქ ზუგდიდის მერიის ერთობლივი პროექტი ფარგლებში ჩატარდა ტურნირი (მინი ფეხბურთში) და ზუგდიდის რაიონში განთავსებულ აფხაზეთის ხუთივე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ზუგდიდის მერიამ საჩუქრად გადასცა **40** ცალი ფეხბურთის ფორმა. წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში საახალწლო კონცერტს უფასოდ დაესწრო **150** აფხაზეთიდან დევნილი ბავშვი.
- სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, სენაკის რაიონში მცხოვრებ **475** აფხაზეთიდან დევნილ ბავშვს გადასცა საახალწლო საჩუქარი.
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ **15** სოციალურად დაუცველ აფხაზეთიდან დევნილ ოჯახს გადასცა საახალწლო საჩუქარი;
- სულ რეგიონის მაშტაბით, აფხაზეთიდან დევნილ **626** ოჯახს გადაეცა საახალწლო საჩუქარი, ასევე **190** ბავშვი უფასოდ დაესწრო საახალწლო კონცერტს.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ჩასახლებულ დევნილებზე გაცემული ცნობათა რაოდენობა შეადგენს **1671**.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ იქნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებისაგან შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა, დახარისხება და ადრესატებისათვის მიწოდება, ასევე, შესრულებული კორესპონდენციის დანიშნულებისამებრ გადაგზავნა.
  - შემოსულია **630** წერილი;
  - გასულია **815** წერილი;
  - შემოსულია **411** მოქალაქეთა განცხადება.

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

❖ წარმომადგენლობა ორგანიზაციულად ჩართული იყო აჟარის მუნიციპალიტეტთან ერთობლივად განხორციელებულ ღონისძიებებში. დევნილთა სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით დახმარება გაეწია:

- ✓ ომში დაღუპულ პირთა **31** ოჯახს;
- ✓ მრავალშვილიან **137** ოჯახს;
- ✓ მრავალშვილიან (3 -ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახში ბავშვის დაბადების გამო, **22** ოჯახს;
- ✓ **6** მარტოხელა დედას;
- ✓ დედ-მამით ობოლ **1** ბავშვს;
- ✓ **60** მარტოხელა პენსიონერს;
- ✓ მარჩენალდაკარგულ (18 წლამდე) – **20**ოჯახს;
- ✓ ონკოლოგიურ დაავადებულ **11** ბენეფიციარს;
- ✓ უმწეო მდგომარეობაში მყოფ (შესაბამისი კრიტერიუმებით) **140** ოჯახს;
- ✓ ქირურგიული ოპერაციის განსახორციელებლად თანადაფინანსება მიიღო **7** ბენეფიციარმა;
- ✓ ავადმყოფ და შეზღუდული შესაძლებლობების (პირველი და მეორე ჯგუფის) მქონე **120** ბენეფიციარს;
- ✓ 37 ბენეფიციარს, ოპერაციისა და ოპერაციის შემდგომი მკურნალობის თანადაფინანსების
  სახით;
- ✓ 1 ბენეფიციარს, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევაში სოციალური დახმარების
  სახით;
- ✓ 1 ოჯახს, ხანძრის დროს დაზარალებულთა სოციალური დახმარების სახით (სარეზერვო
  ფონდიდან);

- ✓ ორ 100 წელს გადაცილებულ ბენეფიციარს;
- ✓ 24 მოქალაქის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება;
- ✓ პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასური გადახდილ იქნა 23 სტუდენტისთვის;
- ✓ განხორციელდა უმაღლესი სასწავლებლის 3 მაგისტრანტისა და 63 ბაკალავრის სწავლების თანადაფინანსება;
- ✓ 8 ოჯახს გაეწია ბუნებრივი აირის მიწოდებისა და შეყვანის ხარჯების თანადაფინანსება;
- ✓ დახმარება გაეწია მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ 2 ახალგაზრდას;
- ✓ დევნილთა კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი შენობის გადასახურად 47 ოჯახისთვის განხორციელდა მასალის შეძენა და გადაცემა;
- ✓ კერძო სექტორში მცხოვრებ 110 ოჯახისთვის სამეურნეო პირობების გასაუმჯობესებლად შეძენილ იქნა სარწყავი მილები;
- ✓ კერძო სექტორში მცხოვრებ 26 ოჯახისთვის, სოციალური დახმარების სახით შეძენილ იქნა 1$მ^3$ მოცულობის პოლიეთილენის ავზი;
- ✓ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ 229 ოჯახს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება.

❖ სპორტული ღონისძიებები:

- ✓ ჩატარდა „მხიარული სტარტები“;
- ✓ ჩატარდა სამი ტურნირი ფეხბურთში;
- ✓ ჩატარდა ზემო აფხაზეთის გარდამავალი თასის გათამაშება განხორციელდა 16 მოთამაშისგან შემდგარი გუნდისა და თანმხლები პირების საწვრთნელი შეკრება გონიოში;
- ✓ ზედაზენის კომპლექსის დასუფთავების მიზნით, განხორციელდ ორდღიანი ლაშქრობა , რომელშიც მონაწილეობას იღებდა 30 ბავშვი.

❖ კულტურული ღონისძიებები:

- ✓ ანსამბლ „დალი“-ს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ფესტივალში „ყური უგდე საქართველოს - 14 აპრილს, დედაენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-მა მოზარდმა, მათ გადაეცათ წიგნები;
- სამ ეტაპად ჩატარდა ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი „ერუდიტი“;

- 2 მაისს, ზემო აფხაზეთიდან დევნილი 100 ბავშვი დაესწრო წარმოდგენას ცირკში;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ზემო აფხაზეთიდან დევნილმა 100 ბავშვმა უფასოდ დაისვენა მთაწმინდის პარკში;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი, თავის კომპეტენციის ფარგლებში, სისტემატურად უწევს დახმარებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებს, როგორც ზემდგომი ორგანოების მიერ გაცემული დავალებების, ასევე მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დროულ შესრულებასთან დაკავშირებით და პერიოდულად ატარებს მათი საქმიანობის მონიტორინგს.

დეპარტამენტის თავმჯდომარე
კონსტანტინე კუჭუხიძე